

რ ე გ ი ს ტ რ ი რ ე ბ უ ლ ი ა

ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს

1998 წლის \_ 7 ა გ ვ ი ს ტ ო ს .

№ 5 ა/9-62

დადგენილებით

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება

„აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების  
ასოციაცია“

წ ე ს დ ე ბ ა

ასალი რედაქციით

მიღებული და დამტკიცებულია

29.10.2006 წ. კავშირის საერთო კრების მიერ. ოქმი №05.06

# მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება „აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაცია“

## 1. ზოგადი დებულება

- 1.1 „აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაცია“ (შემდგომში ასოციაცია) წარმოადგენს საზოგადოებრივ, პროფესიულ გაერთიანებას, რომელიც ნებაყოფლობით საწყისეზზე აერთიანებს აქტუარებსა და ფინანსურ ანალიტიკოსებს, ასევე იმ პირებს, რომელთა საქმიანობა ხელს უწყობს აქტუარისა და ფინანსური ანალიტიკოსის პროფესიათა საქართველოში დამკვიდრებას და განვითარებას.
- 1.2 ასოციაცია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და მოცემული წესდების შესაბამისად.
- 1.3 ასოციაცია არის იურიდიული პირი, აქვს განკერძოებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, კუთხური ტვიფარი, საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიშები საქართველოს საბანკო დაწესებულებებში.
- 1.4 ასოციაცია უფლებამოსილია განახორციელოს თავისი უფლებები და მოვალეობები, იყოს მოსარჩლე და მოპასუხე სასამართლოში, ან ნებისმიერი სხვა ფორმით დავის განხილვისას, შეასრულოს სახელმწიფო სამუშაოები, აწარმოოს საგამომცემლო საქმიანობა, თავისი პროფილით აწარმოოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო-პედაგოგიური მოღვაწეობა, დააფუძნოს თავისი პროფილით მომუშავე ფირმები.
- 1.5 ასოციაცია პასუხს არ აგებს სახელმწიფოს ვალდებულებებზე, ისევე, როგორც სახელმწიფო არ აგებს პასუხს ასოციაციის ვალდებულებებზე.
- 1.6 ასოციაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, კ. გამსახურდიას გამზ. №2, I სადარბაზო, ბინა №10, ტელ: 33-26-62

## 2. ასოციაციის მიზნები და ამოცანები

- 2.1 ასოციაციის მოღვაწეობის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს აქტუარისა და ფინანსური ანალიტიკოსის პროფესიების საქართველოში დამკვიდრებასა და განვითარებას.
- 2.2 ძირითადი მიზნის მისაღწევად ასოციაცია ისახავს შემდეგ ამოცანებს:
  - მოქმედი აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების გაერთიანება;
  - აქტუარისა და ფინანსური ანალიტიკოსის პროფესიების პოპულარიზაცია;
  - საგანმანათლებლო და პედაგოგიური მოღვაწეობა, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადების ხელშეწყობა;

- შესაბამისი სამეცნიერო და პროფესიული ინფორმაციის გავრცელება, უცხოური გამოცდილების შესწავლა და საქართველოში დანერგვა;
- მოქმედ სადაზღვევო და ფინანსურ სტრუქტურებთან მჭიდრო ურთიერთობა, მათ მიერ წამოყენებული პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობა;
- თანამედროვე აქტუარული და ფინანსური ლიტერატურით აღჭურვილი საბიბლიოთეკო ქსელის განვითარება;
- სახელმწიფო სტრუქტურებთან, ფინანსურ ინსტიტუტებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ასოციაციის წევრების დასაქმების ხელშეწყობა;
- საჭიროების შემთხვევაში ასოციაციის წევრების ინტერესების და უფლებების დაცვა;
- პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დანერგვა და დაცვა;

### 3. ასოციაციის წევრობა

- 3.1 ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები პირი, რომელიც ეწევა აქტუარის ან ფინანსური ანალიტიკოსის საქმიანობას, ან დაინტერესებულია საქართველოში ამ პროფესიების განვითარებით და აღიარებს წინამდებარე წესდებას.
- 3.2 ასოციაციის წევრად მიღება ხდება ნებაყოფლობითი წერილობითი განცხადების თანახმად, ასოციაციის საერთო კრების ან გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.
- 3.3 ასოციაცია ირჩევს საპატიო წევრებს ამ უკანასკნელების თანხმობის შემთხვევაში.
- 3.4 ასოციაციის წევრობიდან გასვლა ხდება:
  - ა) ნებაყოფლობით, წერილობითი განცხადების საფუძველზე;
  - ბ) საერთო კრების ან ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაში თუ ასოციაციის წევრი:
    - სათანადოდ არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას;
    - არ ასრულებს საერთო კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილებას;
    - ჩაბმულია საქმიანობაში, რომელიც ეწინააღმდეგება წესდებით გათვალისწინებულ მიზნებს;
    - არღვევს ასოციაციის წესდებას;
    - დროულად არ იხდის საწევრო გადასახადებს;
    - მხილებული იქნება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში;
    - არღვევს ასოციაციის მიერ აღიარებულ ქცევის ნორმებს;
    - გარდაიცვალა.

## 4. ასოციაციის წევრების უფლებები და მოვალეობები

- 4.1 ასოციაციის წევრი უფლებამოსილია:
- მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის ხელმძღვანელ-აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოების არჩევნებში;
  - პირადად მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, ასოციაციის გეგმების, პროგრამების, პროექტების და ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში;
  - შეიტანოს წინადადებები და შეკითხვები ასოციაციის საქმიანობის ნებისმიერ საკითხზე ხელმძღვანელ, აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოებში და მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვაში;
  - ისარგებლოს შეღავათებით ასოციაციის ფასიანი მომსახურების მიღებისას.
  - ერთდროულად იყოს სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ასოციაციის წესდებას, მის მიზნებსა და ამოცანებს.
  - მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის ქვედანაყოფების: სექციების, ბიუროების, დროებითი კოლექტივების და კომიტეტების მუშაობაში;
- 4.2 ასოციაციის წევრები ვალდებული არიან:
- ხელი შეუწყონ ასოციაციის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით შესრულებას;
  - დაიცვან ასოციაციის წესდება და დროულად გადაიხადონ საწესდებო შენატანები ასოციაციის მიერ დადგენილი ოდენობით;
  - პირნათლად შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულებანი, გამოიჩინონ ინიციატივა და პროფესიონალიზმი;
  - ხელი შეუწყონ ურთიერთგაგებისა და მეგობრული ატმოსფეროს შექმნას, დაიცვან მორალური და პროფესიული ეთიკის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;
  - პოპულარიზაცია გაუწიონ აქტუარისა და ფინანსური ანალიტიკოსის პროფესიებს და ასოციაციის საქმიანობას;
  - დაიცვან ასოციაციის მიერ აღიარებული ქცევის ნორმები;

## 5. ასოციაციის სტრუქტურა

- 5.1 ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს ასოციაციის ყველა წევრს.
- 5.2 საერთო კრებას უფლება აქვს გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რომელიც ასოციაციის საქმიანობას ეხება:
- შეიტანოს ცვლილებები და დამატებები ასოციაციის წესდებაში, რაზედაც უნდა ეცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს;
  - დაამტკიცოს ასოციაციის მუშაობის ძირითადი მიმართულებები და საქმიანობის გეგმები, მიიღოს გადაწყვეტილებები ასოციაციის ძირითადი და მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის შესახებ;
  - აირჩიოს ასოციაციის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები, გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრები და მოისმინოს მათი ანგარიში;

- დაამტკიცოს ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურა;
  - მიიღოს გადაწყვეტილება ასოციაციის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ, დაამტკიცოს სალიკვიდაციო ბალანსი.
- 5.3 ასოციაციის რიგითი საერთო კრება მოიწვევა ორ წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე კრება მოიწვევა პრეზიდენტის, გამგეობის, სარევიზიო კომისიის ან ასოციაციის წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ერთი მესამედის ინიციატივით.
- 5.4 კრება უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობას ღებულობს წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი. კრება გადაწყვეტილებას ღებულობს ხმების უბრალო უმრავლესობით.
- 5.5 ასოციაციის საერთო კრებებს შორის ასოციაციას მართავს გამგეობა.
- 5.6 გამგეობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი მაინც. იგი იღებს გადაწყვეტილებას ხმათა უბრალო უმრავლესობით.
- 5.7 გამგეობის სხდომებს შორის ასოციაციას მართავენ პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები. მათი არჩევა ხდება გამგეობის წევრებიდან. როგორც არჩეული პირები, ისინი ანგარიშვალდებული არიან გამგეობისა და საერთო კრების წინაშე.
- 5.8 ასოციაციის გამგეობა, სარევიზიო კომისია, პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები აირჩევიან ორ წელიწადში ერთხელ.
- 5.9 ასოციაციის საფინანსო საქმიანობას აკონტროლებს სარევიზიო კომისია, რომელიც ასოციაციის სამი წევრისაგან შედგება.
- 5.10 ასოციაციის სახელით პროფესიულ სერტიფიკატებს გასცემს სერტიფიცირების საბჭო, რომლის წევრები და თავმჯდომარე აირჩევა საერთო კრების მიერ. სერტიფიცირების საბჭო ანგარიშვალდებულია მხოლოდ საერთო კრების წინაშე.
- 5.11 ასოციაციის საერთო კრების ან გამგეობის გადაწყვეტილებით იქმნება ასოციაციის ქვედანაყოფები: სექციები, ბიუროები, ღროებითი კოლექტივები, კომიტეტები, რომლებსაც ევალებათ ასოციაციის საქმიანობის გარკვეული მიმართულების წარმართვა. ქვედანაყოფები იქმნება გარკვეული ვადით, მათ ხელმძღვანელობს კრების ან გამგეობის მიერ არჩეული ასოციაციის წევრი. ქვედანაყოფი ანგარიშვალდებულია ასოციაციის გამგეობის ან საერთო კრების წინაშე.

## **6. ასოციაციის ქონება და სახსრები**

- 6.1 ასოციაციის ქონება და სახსრები ყალიბდება:
- საწევრო შენატანებისაგან, რომელსაც იხდის ასოციაციის ყველა წევრი;
  - ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა შემოწირულობებისაგან;
  - კანონით ნებადართული საკონსულტაციო, სახელშეკრულებო, საგამომცემლო, პედაგოგიური საქმიანობით მიღებული შემოსავლებისაგან;
  - სხვა კანონიერი გზებით მიღებული შემოსავლებისაგან.
- 6.2 ასოციაციის გამგეობა დადგენილი წესით აცნობებს საგადასახადო ორგანოებს მიღებული შემოსავლის შესახებ და გადაიხდის სათანადო გადასახდელს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

- 6.3 ასოციაციას შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს შენობები, ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ორგტექნიკა და სხვა უძრავი და მოძრავი ქონება, რაც საჭიროა ასოციაციის მიზნების განსახორციელებლად.
- 6.4 ასოციაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მის წესდებაში მოყვანილი მიზნების განხორციელებას.

## **7. ასოციაციის საქმიანობა**

- 7.1 ასოციაცია უფლებამოსილია განახორციელოს კანონით ნებადართული შემდეგი სახის საქმიანობა:
  - სახელშეკრულებო საფუძველზე შეასრულოს სადაზღვევო და საფინანსო ორგანიზაციების დაკვეთები, გაუწიოს მათ კონსულტაცია;
  - აწარმოოს პედაგოგიური მოღვაწეობა, ჩამოაყალიბოს თავისი პროფილის შესაბამისი სასწავლო კურსები;
  - მონაწილეობა მიიღოს უმაღლეს სასწავლებლებში თავისი პროფილის შესაბამისი საგნების წარმართვაში;
  - აწარმოოს სამეცნიერო, საგამომცემლო და მთარგმნელობითი საქმიანობა;
  - განახორციელოს თავისი პროფილის შესაბამისი პროფესიული სერტიფიცირება;
  - სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე გახსნას თავისი პროფილით მომუშავე ფირმები.
  - აწარმოოს კანონით ნებადართული სხვა საქმიანობა.
- 7.2 ასოციაცია ახორციელებს თავისი საქმიანობის საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.
- 7.3 ასოციაციის საფინანსო წელი დადგენილია ყოველი კალენდარული წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 7.4 ასოციაციის გამგეობა განიხილავს და ამტკიცებს საქმიანობის წლიურ ანგარიშს სარევიზიო კომისიის დასკვნის შემდეგ.

## **8. ასოციაციის შექმნა და ლიკვიდაცია**

- 8.1 ასოციაცია იქმნება და მისი წესდება მტკიცდება დამფუძნებელ კრებაზე. წესდებაში ცვლილებების შეტანა ხდება 5.2 პუნქტის მიხედვით.
- 8.2 ასოციაციის დამფუძნებლები არიან:
  1. ტორონჯაძე თეიმურაზ ამირანის-ძე.  
დაბადებული 1949 წელს, მცხოვრები კ.გამსახურდიას გამზ. ბ.10, პროფესიით მათემატიკოსი.
  2. ლაზრიევა ნანული ლაზარეს-ას.  
დაბადებული 1940 წელს, მცხოვრები ნუცუბიძის პლატო, II მკრ. II კვ. VII კორ. ბ.32, პროფესიით მათემატიკოსი.
  3. ჯამბურია ლევან გივის-ძე.

- დაბადებული 1954 წელს, მცხოვრები ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვ. XIV კორ. ბ.134, პროფესიით მათემატიკოსი.
4. მირზაშვილი გურამ ირაკლის-ძე.  
დაბადებული 1950 წელს, მცხოვრები ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. I კორ. ბ. 117, პროფესიით მათემატიკოსი.
5. მანია მიხეილ გვანჯის-ძე.  
დაბადებული 1953 წელს, მცხოვრები ი.ჭავჭავაძის გამზ. 2, პროფესიით მათემატიკოსი.
6. ლლონტი ომარ ალექსანდრეს-ძე.  
დაბადებული 1939 წელს, მცხოვრები კეკელიძის 18, პროფესიით მათემატიკოსი.
7. ქავთარაძე თამარ გივის-ას.  
დაბადებული 1975 წელს, მცხოვრები კ.გამსახურდიას გამზ. II კვ. IX კორ. ბ.6, პროფესიით მათემატიკოსი.
- 8.3 ასოციაციის გამგეობის წევრები არიან:
1. მირზაშვილი გურამი ირაკლის ძე  
დაბადებული 1950 წელს, მცხოვრები ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. I კორ. ბ. 117, პროფესიით მათემატიკოსი.
2. ციგროშვილი ზურაბი პავლეს-ძე  
დაბადებული 1963 წელს, მცხოვრები ვარკეთილი, მე-3-ე მკ რ-ნი, კორპ 28. პროფესიით მათემატიკოსი.
3. ჯიშიაშვილი ხათუნა ცეზარის-ასული  
დაბადებული 1976 წელს, მცხოვრები აღმაშენებლის გამზირი 109, პროფესიით ეკონომისტი.
4. ომანაძე ალექსანდრე თენგიზის-ძე  
დაბადებული 1982 წელს, მცხოვრები იოსებძის ქ 51-ბ. პროფესიით მათემატიკოსი.
5. მახარაძე გიორგი ვალერის ძე. დაბადებული 1982 წელს, მცხოვრები თემქა 11 მ/რ, მე-2-ე კვარტალი, 29 კორპ. პროფესიით მათემატიკოსი.
- 8.4 ასოციაციის რეგისტრაცია ხდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით.
- 8.5 ასოციაციის საქმიანობის ვადა არ დგინდება. მისი საქმიანობის შეწყვეტა ხდება ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის გზით.
- 8.6 ასოციაციის ლიკვიდაცია ხდება საერთო კრების გადაწყვეტილებით, თუ ამ გადაწყვეტილებას ხმა მისცა წევრთა ორმა მესამედმა მაინც, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებშიც.
- 8.7 ასოციაციის ლიკვიდაციის დროს ინიშნება სალიკვიდაციო კომისია, რომელიც ამტკიცებს ლიკვიდაციის პროცედურას.
- 8.8 ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 8.9 ასოციაციის ლიკვიდაცია დასრულებულად, ხოლო საქმიანობა შეწყვეტილად ითვლება, მარეგისტრირებული ორგანოს მიერ ასოციაციის სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

გამგეობის წევრები:

მირზაშვილი გურამი ირაკლის ძე

ციგროშვილი ზურაბი პავლეს ძე

ჯიშიაშვილი ხათუნა ცეზარის ასული

ომანაძე ალექსანდრე თენგიზის ძე

მახარაძე გიორგი ვალერის ძე

დამფუძნებლები:

ტორონჯაძე თეიმურაზ ამირანის ძე

ლაზრიევა ნანული ლაზარეს ას.

ჯამბურია ლევან გივის ძე

მირზაშვილი გურამ ირაკლის ძე



მანია მიხეილ გვანჯის ძე

ღლონტი ომარ ალექსანდრეს ძე

ქავთარაძე თამარ გივის ას.